

ოქმი №24

ქ. მარტვილი

5 დეკემბერი 2022 წელი

სხდომა დაიწყო 13:00 სთ-ზე, დამთავრდა 14:00სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ლევან სურმავა, ელდარი თოდუა, ალექსანდრე გრიგალავა, კობა დარჯანია, კახაბერ ჯგერენია, ზურაბ მელიავა, ელიზბარ ახვლედიანი, შალვა ბახია, ლაშა ქობალია, ნათია ბჟალავა, ირინა გადელია, ირაკლი დიხამინჯია, ჯამბულ ხუროძე, გიორგი კოკაია, ვლადიმერ დანელია, ბექარ კუკანია, პაატა პირტახია, გოჩა ჯიქია, დათო ხელაია, ზაზა რუხაია, მათა გაწერელია, მიხეილ ნაჭყებია, ზაურ ჯახუა, ელენე კოკაია, ვახტანგ კეკელია, ნათია ქაჯაია, მამუკა დანელია.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27-მა წევრმა.

ასევე ესწრებოდნენ: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

პირველი საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27-მა წევრმა.

მოსმინეს 1: საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით და საკრებულოს წევრებს სთხოვა აღნიშნულზე აზრი გამოეთქვათ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით აზრი არ გამოეთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 27, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 5 დეკემბრის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

/,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 5 დეკემბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 5 დეკემბრის განკარგულება №82 სხდომის ოქმს თან ერთვის./

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 5 დეკემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;
/მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
2. „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
/მომხსენებელი-ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ საკრებულოს წევრებს მე-2 სთხოვა საკითხის წინ გაეველოთ რეგისტრაცია.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27-მა წევრმა.

მოსმინეს 2: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ-ის ბონდო თოფურას მოხსენება, „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ საქართველოს მთავრობამ მარტვილის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოუყო 275000 ლარი, აღნიშნული თანხის ნაწილი გათვალისწინებული იქნება საახალწლო ღონისძიებების ჩასატარებლად, ეს იქნება კონცერტისთვის, გამოფენა გაყიდვებისთვის, ფეიერვერკებისა და სხვა საახალწლო ღონისძიებების ჩასატარებლად.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვას: მამუკა დანელიამ დასვა კითხვა, რომ ამ კუთხით ადგილობრივ ბიუჯეტში თუ არის თანხა გამოყოფილი და ასევე წინადადებით შემოვიდა, რომ გასართობი ღონისძიებების კუთხით თანხები შეემცირებინათ და დარჩენილი თანხით სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებს დახმარებოდნენ, რაზეც ბონდო თოფურამ უპასუხა, რომ ადგილობრივ ბიუჯეტში წინასაახალწლოდ არის თანხა გამოყოფილი, მაგრამ კონკრეტული ღონისძიება გათვალისწინებულია 3 იანვრისთვის, ასევე დასძინა, რომ მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაწილი მიმართული იქნება მარტვილის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სოფლებში მცხოვრები შეჭირვებული მოქალაქეებისთვის, დაახლოებით 400 კომლისათვის პროდუქტის შესაძენად.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 26, წინააღმდეგი 0, თავი შეიკავა 1.

დაადგინეს: დამტკიცდეს, „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი წარმოდგენილი სახით.

/„მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 5 დეკემბრის დადგენილება №26 სხდომის ოქმს თან ერთვის.

ამის შემდეგ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე.

ლევან სურმავა